ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2022 წლის 22 აგვისტო

ქ. ბათუმი

ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბათუმის ბულვარის (გარდა 05.21.02.002 საკადასტრო კოდით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა) დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — რამაზ ჯინჭარაძე